

შპს „მაგთიკომი“

2024 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მაგთიკომის“ მესაკუთრეებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს და ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით, სხვა ინფორმაცია:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მივიღოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის საფუძვლის სახით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
31 მარტი 2025 წელი



		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	შენიშვნა	'000 აშშ დოლარი	'000 აშშ დოლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	215,193	190,511
არამატერიალური აქტივები და გუდვილი	12	121,833	80,673
აქტივები გამოყენების უფლებით	17	8,530	9,327
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები		8,902	4,962
IRU (ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით)			
ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი ავანსები		2,335	2,657
სულ გრძელვადიანი აქტივები		356,793	288,130
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,307	1,409
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	6,442	7,541
მოკლევადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		2,332	1,614
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	67,729	117,046
სულ მოკლევადიანი აქტივები		77,810	127,610
სულ აქტივები		434,603	415,740
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	15	5,000	5,000
დამატებით გადახდილი კაპიტალი		2,503	2,503
უცხოურ ვალუტაში კონვერტაციის რეზერვი		(125,485)	(108,917)
გაუნაწილებელი მოგება		467,083	455,918
სულ კაპიტალი		349,101	354,504
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	8,408	9,600
IRU ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ავანსები	5	3,489	4,403
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,897	14,003
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	2,182	1,762
გადასახდელი ლიცენზია	18	29,429	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	26,072	30,560
IRU ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ავანსები	5	654	534
კლიენტთა დეპოზიტები და გადავადებული შემოსავალი	5	15,268	14,377
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		73,605	47,233
სულ ვალდებულებები		85,502	61,236
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		434,603	415,740

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-49 გვერდებზე.

		2024	2023
შენიშვნა		'000 აშშ დოლარი	'000 აშშ დოლარი
შემოსავალი	5	270,292	266,164
გაყიდვების თვითღირებულება	6	(98,150)	(98,638)
საერთო მოგება		172,142	167,526
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალის აღდგენა	11	2	296
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		(24)	(705)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	19	(126)	(228)
გაყიდვებთან დაკავშირებული, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(19,589)	(12,030)
სხვა შემოსავალი, წმინდა		1,460	88
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		153,865	154,947
ფინანსური შემოსავალი		13,654	14,394
ფინანსური ხარჯები	9	(7,422)	(12,003)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		6,232	2,391
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		160,097	157,338
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(22,616)	(19,721)
წლის მოგება		137,481	137,617
სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება რეკლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში			
უცხოურ ვალუტაში კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები		(16,568)	1,135
სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(16,568)	1,135
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		120,913	138,752

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 31 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელსაწერენ:

გიორგი გაგნიძე

გენერალური დირექტორი

დავით დონაძე
ფინანსური დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა. რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 20 (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და მისი რეგისტრაციის ნომერია: 5/4-385.

შპს „მაგთიკომი“ დაფუძნდა 1996 წლის 12 თებერვალს და კომერციული საქმიანობა 1997 წლის 22 სექტემბერს დაიწყო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №7

შპს „მაგთიკომის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მობილური უკაბელო და ფიქსირებული საკაბელო სატელეფონო ქსელებისა და სატელეკომუნიკაციო DTH (direct-to-home - პირდაპირ სახლში) ტელევიზიის („მაგთისატი“) ოპერირება საქართველოში. 2016 წლის 1 აგვისტოს, კომპანიამ შეიძინა საცალო ინტერნეტ ბიზნესი შპს „კავკასუს ონლაინ“-საგან და მას შემდეგ კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებს ასევე სთავაზობს ინტერნეტისა და ინტერნეტ-ტელევიზიის (IPTV) მომსახურებას საქართველოში.

2016 წლის 21 ნოემბერს, შპს „მაგთიკომმა“ შეიძინა შპს „დელტა კომის“ 100%-იანი საკუთრების წილი. შპს „დელტა კომის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ISP ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მისი ინფრასტრუქტურიდან კონკრეტულ გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე წვდომის უზრუნველყოფა და ინტერნეტ მომსახურების გაწევა საქართველოს გარკვეულ რეგიონებში.

2023 წლის იანვრიდან, შპს "მაგთიკომმა" შეწყვიტა "მაგთისატის" ბრენდის სახელით მომსახურების გაწევა (იხ. ასევე შენიშვნა 11).

2024 წლის 25 ივლისს, კომუნიკაციების კომისიამ გამოსცა ბრძანება G-24-9/331, რომლითაც მაგთიკომი აღიარა როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი საქართველოში მობილური კომუნიკაციების მომსახურების საბითუმო ბაზარზე. როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი, მაგთიკომი უნდა აკმაყოფილებდეს კომუნიკაციების კომისიის მიერ დადგენილ კონკრეტულ პირობებსა და მოთხოვნებს. იგი ვალდებულია უზრუნველყოს დაშვება მობილური კომუნიკაციების საბითუმო მომსახურებაზე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის ეროვნული როუმინგი, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები (MVNO) და კოლოკაციის სივრცის უზრუნველყოფა.

2024 წლის 8 აგვისტოს, კომუნიკაციების კომისიამ გამოსცა ბრძანება G-24-9/361, რომლითაც მაგთიკომი აღიარა, როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საბითუმო ბაზარზე. როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი, მაგთიკომი უნდა აკმაყოფილებდეს კომუნიკაციების კომისიის მიერ დადგენილ კონკრეტულ პირობებსა და მოთხოვნებს. ამ ბრძანების თანახმად, მაგთიკომი ვალდებულია უზრუნველყოს საბითუმო ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებაზე დაშვება, VULA დაშვება და Bitstream დაშვება (წინასწარ განსაზღვრული ტარიფებით).

2024 წელს, „მაგთიკომმა“ შეიძინა 5G სპექტრის ლიცენზია კომუნიკაციების კომისიის მიერ გამოცხადებული აუქციონის საშუალებით და წარმატებით დაიწყო კომერციული 5G მომსახურების გაწევა 2024 წლის 23 ოქტომბერს (იხ. ასევე შენიშვნები 11 და 12).

ჯგუფის მესაკუთრეები არიან "International Telcell Cellular LLC" ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული კომპანია („International TC LLC“), რომელიც ფლობს ჯგუფის 51%-ს და "Telcell Wireless LLC", ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული კომპანია („Telcell Wireless“), რომელიც ჯგუფში 49%-იან საკუთრების წილს ფლობს. ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანიაა "International TC LLC", ხოლო ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი - დოქტორი გიორგი ჯოხთაბერიძე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 23-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნულ ვალუტას ლარი წარმოადგენს, რომელიც კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ვალუტაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის. აქტივები და ვალდებულებები, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის თითოეულ ანგარიშგებაში, კონვერტირდება ლარიდან აშშ დოლარში, ფინანსური მდგომარეობის თარიღისათვის მოქმედი ვალუტის გაცვლითი კურსით. განთავსებული კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი ლარიდან აშშ დოლარში ისტორიული გაცვლითი კურსის გამოყენებით კონვერტირდება. შემოსავალი და ხარჯი თითოეული კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისთვის ლარიდან აშშ დოლარში საშუალო გაცვლითი კურსების გამოყენებით კონვერტირდება. ფულადი ნაკადები თითოეული კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის ლარიდან აშშ დოლარში საშუალო გაცვლითი კურსების გამოყენებით კონვერტირდება.

შედეგად მიღებული კონვერტაციის სხვაობა აღრიცხულია სხვა სრულ შემოსავალში და უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვში არის წარმოდგენილი. კონვერტაციის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

- 2024 წლის 31 დეკემბრისთვის - 1 აშშ დოლარი - 2.8068 ლარი
- 2024 წლის საშუალო გაცვლითი კურსი - 1 აშშ დოლარი - 2.7208 ლარი
- 2023 წლის 31 დეკემბრისთვის - 1 აშშ დოლარი - 2.6894 ლარი
- 2023 წლის საშუალო გაცვლითი კურსი - 1 აშშ დოლარი - 2.6279 ლარი

საქართველოს გარეთ ლარი არ არის ხშირად კონვერტირებადი ვალუტა, შესაბამისად ლარის აშშ დოლარში კონვერტირება არ უნდა იქნას აღქმული, როგორც განცხადება იმის შესახებ, რომ ლარში დენომინირებული თანხა იყო, შესაძლოა იყოს ან მომავალში იქნება კონვერტირებული აშშ დოლარში წარმოდგენილი გაცვლითი კურსით, ან ნებისმიერი სხვა გაცვლითი კურსით.

აშშ დოლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების და შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 25 (h) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).